

„ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს **ERASMUS+ პროგრამის პროექტს „VET4GSEB (პროფესიული განათლებისა და მომზადების პარტნიორობა მწვანე და გონივრული ელექტრომომარაგებისთვის შენობებში)“** რომლის მიზანია პროფესიული განათლების სფეროში, ბულგარეთისა და თურქეთის გამოცდილების მოწინავე პრაქტიკის გაზიარება ალბანეთის, სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის სასწავლო დაწესებულებებისთვის.

ამ პროექტის სამუშაო გეგმით **2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში**, დაგეგმილია **პროფესიული განათლების მიმწოდებელთა წარმომადგენელი მასწავლებლების საპილოტე ტრენინგი (ქართულ ენაზე).**

ტრენინგი ჩატარდება **ჰიბრიდული მეთოდით.**

- პირველი ეტაპი -2024 წ 16 სექტემბერი- ჰიბრიდული შეხვედრა(პირისპირ/ონლაინ) **შეხვედრა** ტრენინგის მონაწილეებთან. პროექტის და ტრენინგის პროგრამის მიმოხილვა
- მეორე ეტაპი- 2024 წ 17 სექტემბერი - 14 ოქტომბერი- **დისტანციური სწავლება.** მონაწილეები მიიღებენ წვდომას სასწავლო პლატფორმაზე, სადაც შეძლებენ გაეცნონ და ჩამოტვირთონ სასწავლო მასალები – მოდულები, დამატებითი მასალები და პრაქტიკული მაგალითები რაც მათ საშუალებას მისცემს განაახლონ და გაუმჯობესონ სწავლების მეთოდები და სასწავლო პროგრამები. ტრენინგის მონაწილეები ინდივიდუალურ რეჟიმში ეცნობიან სასწავლო მასალას 20-25 დღის განმავლობაში.
- მესამე ეტაპი-თარიღი დაზუსტდება- **საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა-** სასწავლო მასალის განხილვა, კომენტარები, კითხვა- პასუხების სესია
- მეოთხე ეტაპი- 2024 წ 15 ოქტომბერი- **ტესტირება** (ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო-ს ოფისი) ტრენინგის შინაარსის გაუმჯობესების მიზნით, დისკუსია გამოცდილების გაზიარების, კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის, **ტესტირების შედეგების გამოცხადება!**

ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ მონაწილეები მიიღებენ ევროპასის სერტიფიკატის დანართს!¹

საპილოტე ტრენინგში მონაწილეობის მსურველები ასაკისა და სქესის შეუძღლდავად უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

მუშაობდეს აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (კოლეჯი, უნივერსიტეტი, ტრენინგ ცენტრი) შენობების ავტომატიზაციის (ჭკვიანი), განახლებადადებზე (მზის ფოტოელექტრო, თერმული სისტემები და ა.შ.) დაფუძნებული ენერგომომარაგების, ასევე შენობების ენერგომენეჯმენტის და სხვა მონათესავე პროგრამების მასწავლებლად ან მეთოდისთად;

თუ ეს ტრენინგი, საინტერესოა თქვენი მასწავლებლის ან სხვა შესაბამისი თანამშრომლისთვის, გთხოვთ გადმოგვიგზავნოთ მისი ავტობიოგრაფია და მოკლე სამოტივაციო წერილი. ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შრომითი ავტობიოგრაფია (CV) და მოკლე (1 გვერდამდე) სამოტივაციო წერილის ელექტრონული ასლები ელექტრონულად 2024 წ 12 სექტემბრის 17:00 სთ-მდე შემდეგ მისამართებზე:

eecgeo@eecgeo.org ან L_gari@eecgeo.org

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ

ენერგოეფექტურობის ცენტრის ან VET4GSEB პროექტის ვებ გვერდებს:

<https://eecgeo.org/ge/projects.htm>

¹ *Europass სერტიფიკატის დანართი გაიცემა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) ინსტიტუციების მიერ და შეიცავს ინფორმაციას პირის პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ (მაგ. ქულები (შეფასებები), მიღწევები, დაწესებულება) სტანდარტულ ფორმატში.*

<https://vet4gseb.eu/>

ცოტა რამ, თავად პროექტის შესახებ:

ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული VET4GSEB (პროფესიული განათლებისა და მომზადების პარტნიორობა მწვანე და გონივრული ელექტრომომარაგებისთვის შენობებში) პროექტის მთავარი მიზანია პროფესიული განათლების სფეროში გამოცდილების და მოწინავე პრაქტიკის გაზიარება ბულგარეთიდან და თურქეთიდან ალბანეთის, სომხეთის, საქართველოსა და უკრაინისთვის.

პროექტი ითვალისწინებს ეროვნული პროფესიული განათლების მიმწოდებლებს შესთავაზოს მორგებული გადაწყვეტილებები, სასწავლო მასალები, მაგალითები, ინსტრუმენტები და სახელმძღვანელოები, რაც მათ დაეხმარებათ, განაახლონ და გააუმჯობესონ სამშენებლო და განახლებადი ენერჯეტიკის სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების ტრენინგის პრაქტიკა და პროგრამები.

პროექტის ძირითადი საქმიანობა:

- ელექტრიკოსების და შენობებში განახლებადი ენერჯის სისტემების მემონტაჟების შრომის ბაზრის საჭიროებების ანალიზი
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ტრენინგის ახალ მეთოდოლოგიებზე, ონლაინ ტრენინგზე, ჰიბრიდულ მეთოდზე და ა.შ. განხილვა
- შენობებში „ჭკვიანი“ ელექტრომონოწობილობების და ფოტოელექტრული სისტემების დანერგვის ინოვაციური ტექნიკური გადაწყვეტილებების შესახებ მონაცემთა შეგროვება
- ქსელური პლატფორმის შექმნა
- სასწავლო მასალების და ინსტრუმენტების შემუშავება
- „შენობებში ჭკვიანი ელექტრომონოწობილობებისა და ფოტოელექტრული სისტემების სპეციალისტების სწავლების სახელმძღვანელო“ შემუშავება (ინგლისურ და ეროვნულ ენებზე)
- პროფესიული განათლების მიმწოდებელთა წარმომადგენლების ტრენინგთა საპილოტე ტრენინგი
- პროფესიული განათლების მიმწოდებლების ტრენინგთა ეროვნული სასწავლო კურსების შემუშავება-ჩატარება

პროექტის ფარგლებში შემუშავებული ტრენინგთა გადამზადების სასწავლო მასალა შესდგება 5 მოდულისგან, კერძოდ:

- შესავალი: პროექტის მიზნები, ევროკავშირის პოლიტიკა და ეროვნული პოლიტიკა;
- “რბილი” უნარები: მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღება, კლიენტებთან მუშაობა, მარკეტინგი და პოპულარიზაცია სოციალური მედიისა და IT აპლიკაციების საშუალებით;
- ციფრული უნარები შენობებში „ჭკვიანი“ ელექტრომონოწობილობებისა და PV სისტემების პროექტირების, მონტაჟის, მონიტორინგისა და ტექ.მომსახურებისთვის;
- ახალი ტექნოლოგიები შენობებში „ჭკვიანი“ ელექტრომონოწობილობებისა და PV სისტემებისთვის;
- პროფესიული სწავლების ახალი მეთოდები და პრაქტიკა „გადაბრუნებული საკლასო ოთახის“² სახით, ონლაინ და ჰიბრიდული მეთოდი, ნეირომეცნიერება განათლებაში, როგორ მივუდგეთ ახალგაზრდებს, გამჭვირვალობისა და აღიარების ევროპული ინსტრუმენტები.

² <https://ahaslides.com/ka/blog/7-unique-flipped-classroom-examples-and-models/>